ოქმი #

2020 წლის 29 ივნისს შედგა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრას ესწრებოდა; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მ/წლის 28 თებერვლის # 357 ბრძანებით (,,ქალქაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების თაობაზე") განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის წევრები.

დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების განსაზღვრა

მომხსენებელი ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე) დავით ერემეიშვილი

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტით უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტული სფეროები და მათი დაფინანსების დინამიკა რომელიც პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს ,რაც დასტურდება ადგილობრივ მოსახლეობათან კონსულტაციებით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული უფლება მოსილების ფარგლებში, პრიორიტეტების დაფინანსების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. ამასთან მხედველობაშია მიღებული ქვეყნის საერთო- პოლიტიკა ,ცენტრალური ხელისუფლების დასახული პრიორიტეტები, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული საშუალოვადიანი ფისკალური მაჩვენებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებად განისაზღვროს;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

ინფრასტრუქტურის განვითარება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება(სკოლამდელი აღზრდა)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

აზრი გამოთქვეს: ი. უგულავა, დ. ნიშნიანიძე

დაადგინეს: მოწონებულ იქნას და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები განისაზღვროს წარმოდგენილი სახით .

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

(კომისიის თავმჯდომარე) დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი) დავით ნიშნიანიძე